

საერთაშორისო
საბანკო
თბერაცეების
უნიფიცირებული
წესები

საბს წარმოადგენს
YBSG presents



Uniform Rules
for
International
Banking

საერთო რედაქცია
თ. მაღლაკელიძე

მთავარი რედაქტორი
მ. ჯგერენია

საქართველოს
ახალგაზრდა
ბანკერთა
საზოგადოება



YOUNG
BANKERS
SOCIETY of
GEORGIA

საერთაშორისო საბანკო ოპერაციების უნიფიცირებული წესები -
Uniform Rules for International Banking. საერთო რედაქცია
თ.შალდაკელიძე. მთავარი რედაქტორი ე-ჯგერენაია - თბილისი:
ისარი, 1995, -361 გვ.-ISBN 5-520-387.

წიგნში თავმოყრილია საერთაშორისო სავაჭრო ბაზრის
უზღიკაციები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლებიც
განსაზღვრავენ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების და
საერთაშორისო ანგარიშსწორების ზოგად წესებს. იგი
განკუთვნილია ბანკების, სხვადასხვა საფინანსო ინსტი-
ტუტების, საქმიანი აღამიანებისათვის.

სარედაქციო კოლაგია: თამაზ შალდაკელიძე,
ემზარ ჯგერენაია,
მურთაზ კიკორია,
გიორგი შონია.

X $\frac{10806-020}{0814(06)-95}$ 15-95

ISBN 5-520-387

გამომცემლობა
"ისარი"
1995

სარჩევნი

წინასიტყვაობა	7
ინკოტერს 1990	9
შესავალი	10
EXW - EX WORKS (...დასახელებული ადგილი)	27
FCA - FREE CARRIER (...დასახელებული ადგილი)	32
FAS - FREE ALONGSIDE SHIP (...ჩატვირთვის დასახელებული პორტი)	40
FOB - FREE ON BOARD (...ჩატვირთვის დასახელებული პორტი)	46
CFR - COST AND FREIGHT (...დანიშნულების დასახელებული პორტი)	52
CIF - COST, INSURANCE AND FREIGHT (...დანიშნულების დასახელებული პორტი)	58
CPT - CARRIAGE PAID TO (...დანიშნულების დასახელებული ადგილი)	65
CIP - CARRIAGE AND INSURANCE PAID TO (...დანიშნულების დასახელებული ადგილი)	71
DAF - DELIVERED AT FRONTIER (...დანიშნულების დასახელებული ადგილი)	77
DES - DELIVERED EX SHIP (...დანიშნულების დასახელებული პორტი)	83
DEQ - DELIVERED EX QUAY (საბაჟოს გადახდა) (...დანიშნულების დასახელებული პორტი)	89
DDU - DELIVERED DUTY UNPAID (...დანიშნულების დასახელებული ადგილი)	95
DDP - DELIVERED DUTY PAID (...დანიშნულების დასახელებული ადგილი)	101

უნიფიცირებული წესები დოკუმენტარული აკრედიტაციისათვის	107
A. ზოგადი დებულებები და განსაზღვრები	108
B. აკრედიტაციის სახეები და შესაბამისი შეტყობინებები	111
C. მოვალეობები და პასუხისმგებლობები	119
D. დოკუმენტები	125
E. სხვა დებულებები	150
F. ტრანსფერაბელური აკრედიტაციი	155
G. ამონაგების დათმობა	159
ინკასოს უნიფიცირებული წესები	160
ზოგადი დებულებები და განსაზღვრები	161
ვადდებულებები და პასუხისმგებლობები	163
წარდგენა	165
გადახდა	166
აკცეპტი	168
მარტივი თამასუქები, ხელმოწერები და სხვა მსგავსი დოკუმენტები	168
პროტესტი	169
წარმომადგენელი საჭიროების შემთხვევაში (პრინციპალის წარმომადგენელი) და საქონელი	169
შეტყობინება	170
პროცენტები, საკომისიო და ხარჯები	171
სახელმწიფო გარანტიების უნიფიცირებული წესები	174
გამოყენების სფერო	175
განსაზღვრება	175
გარანტიის პასუხისმგებლობა ბენეფიციარის წინაშე	176
პრეტენზიის წარდგენის საბოლოო ვადა	177
გარანტიის მოქმედების ვადა	178
გარანტიის დაბრუნება	178
ცვლილებანი კონტრაქტებსა და გარანტიებში	179
პრეტენზიების წაყენება	180
პრეტენზიის წაყენებისათვის აუცილებელი დოკუმენტები	181

გამოყენებადი კანონი	181
დაუთა გადაჭრა	182
INCOTERMS 1990	183
Introduction	184
EXW - EX WORKS (...named place)	203
FCA - FREE CARRIER (...named place)	208
FAS - FREE ALONGSIDE SHIP (named port of shipment)	217
FOB - FREE ON BOARD (named port of shipment)	223
CFR - COST AND FREIGHT (named port of destination)	229
CIF - COST, INSURANCE AND FREIGHT (named port of destination)	235
CPT - CARRIAGE PAID TO (...named place of destination)	242
CIP - CARRIAGE AND INSURANCE PAID TO (...named place of destination)	248
DAF - DELIVERED AT FRONTIER (...named place)	254
DES - DELIVERED EX SHIP (named port of destination)	261
DEQ - DELIVERED EX QUAY (DUTY PAID) (named port of destination)	267
DDU - DELIVERED DUTY UNPAID (...named port of destination)	273
DDP - DELIVERED DUTY PAID (...named place of destination)	279
UNIFORM CUSTOMS AND PRACTICE FOR DOCUMENTARY CREDITS	285
A. General provisions and definitions	286
B. Form and notification of credits	288
C. Liabilities and responsibilities	297
D. Documents	303
E. Miscellaneous provisions	328
F. Transferable credit	333
G. Assignment of proceeds	336

UNIFORM CUSTOMS FOR COLLECTIONS	338
General provisions and definitions	339
Liabilities and responsibilities	341
Presentation	343
Payment	344
Acceptance	346
Promissory notes, receipts and other similar instruments	346
Protest	346
Case-of-need (principal's representative) and protection of goods	347
Advice of fate, etc.	348
Interest, charges and expenses	349
 UNIFORM RULES FOR CONTRACT GUARANTEES	 352
Scope	353
Definition	353
Liability of the guarantor to the beneficiary	354
Last date for claim	355
Expiry of guarantee	356
Return of guarantee	356
Amendments to contracts and guarantees	357
Submission of claim	358
Documentation to support claim	359
Applicable law	359
Settlement of disputes	360

წინასიტყვაობა

საქართველო თანამიმდევრულად ერთვება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში და ცდილობს, დაიკავოს ღირსეული ადგილი. იზრდება და ფართოვდება საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობები, იკვეთება ექსპორტ-იმპორტის ძირითადი სტრუქტურული მიმართულებები. ქართული კომპანიები, ფირმები თუ სხვა იურიდიული თუ კერძო დაწესებულებები აქტიურად ებმებიან საერთაშორისო სახელმეკრულებო ურთიერთობებში. მაგრამ ცივილიზებულმა სამყარომ ჩვენი იქ "არყოფნის" განმავლობაში შეიმუშავა საკუთარი "ქცევის წესები", რომელთა არცოდნა, უგულებელყოფა პრაქტიკულად თავიდანვე საქმიანობის წარუმატებლობას ნიშნავს. საერთაშორისო პრაქტიკაში წლების განმავლობაში მხარეთა შორის ურთიერთობისას ჩამოყალიბდა განსაზღვრული ტერმინები, განმარტებები, მთელი რიგი პროცედურების ჩატარების ტექნოლოგია, რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით (მაგ. საერთაშორისო სავაჭრო პალატა) ამჟამად გასაგებია საერთაშორისო გარიგებაში მონაწილე ნებისმიერი მხარისათვის. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საერთაშორისო სავაჭრო და ანგარიშსწორებით ურთიერთობებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ კიდევ ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას.

წინამდებარე გამოცემა ერთ-ერთი პირველი მცდელობათაგანია საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული და მიღებული წესების ქვეყნის საქმიანი ადამიანებისათვის გაზიარებისა. მასში თავმოყრილია საერთაშორისო სავაჭრო პალატის ის პუბლიკაციები, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ მხარეთა ურთიერთობებს საერთაშორისო გარიგებებში: "ინკოტერმს 1990", "უნიფიცირებული წესები დოკუმენტარული აკრედიტივებისათვის", პუბლიკაცია No.500, 1990 წლის რელაქცია, "ინკასოს უნიფიცირებული წესები", პუბლიკაცია No.322, 1978 წლის რელაქცია და "სახელმეკრულებო გარანტიების უნიფიცირებული წესები", პუბლიკაცია No.325, 1978 წლის რელაქცია. პუბლიკაციები მოცემულია ორ ნაწილად - ქართულ და ინგლისურ

(ორიგინალურ) ენებზე, რათა მკითხველისათვის უფრო გასაგები გახდეს მათში გადმოცემული განმარტებები.

საერთაშორისო გარიგებაში მონაწილე მხარეები ზოგჯერ არ არიან გათვითცნობიერებულნი იმ თავისებურებებში, რაც ახასიათებს უცხო ქვეყნის სავაჭრო პრაქტიკას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული გაუგებრობები, დავა და საარბიტრაჟო გარჩევები. წინამდებარე კრებულში პუბლიკაციები თავმოყრილია შინაარსობრივად და ერთიან ღოგიკურ პაკეტს ქმნიან, რაც მიზნად ისახავს საერთაშორისო კანონთა პაკეტის და იმ საერთაშორისო ტერმინთა წარმომჩინებას, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო და ანგარიშსწორებით პრაქტიკაში.

“ინკოტერმს 1990” ნათელ წარმოდგენას მისცემს მკითხველს იმ ტერმინოლოგიის შესახებ, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე სავაჭრო კონტრაქტი. მასში მკაფიოდ არის განმარტებული მხარეთა ვადლებულებები და პასუხისმგებლობები სავაჭრო გარიგების დადებისას.

უნიფიცირებული წესები ღოკუმენტარული აკრედიტივებისათვის, ინკოსოსა და სახელმეკრუდებო გარანტიებისათვის წარმოაჩენს საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული ანგარიშსწორების 3 ძირითადი სახის გამოყენების წესებს, ოპერაციების ჩატარების პრინციპებს, ანგარიშსწორებაში ჩართული მხარეების ვადლებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

იმედი გვაქვს, რომ “საერთაშორისო ოპერაციების უნიფიცირებული წესები” დიდ დახმარებას გაუწევს ბიზნესმენებს, ბანკებს, სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებსაც სურთ, რომ მათი საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობდეს საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში და, რაც მთავარია, წარმატებულად.

ინკოტერს 1990

**1990 წლის რედაქცია
ქადაშია 1990 წლის 1 ივლისიდან**

შესავალი

ინკოტერმის წინაშეაღიარება

1. ინკოტერმის დანიშნულება არის საერთაშორისო კანონთა კატეგორიის და იმ საერთაშორისო ტერმინთა წარმომადგენლობა, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება საერთაშორისო კონტრაქტებში. ეს საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ გაურკვეველობა, რომელსაც წარმოშობს ამ ტერმინთა განსხვავება სხვადასხვა ქვეყანაში.

2. ხშირად მონაწილე მხარეები არ იცნობენ იმ თავისებურებებს, რომელიც უცხო ქვეყნის სავაჭრო კონტრაქტებშია მიღებული. ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა, დავა, სასამართლო პროცესი, დროისა და ფულის უაზრო ხარჯვა. ამ პრობლემათა გადასაწყვეტად კომერციის საერთაშორისო პალატამ 1936 წ.-ს პირველად გამოსცა საერთაშორისო კანონთა კატეგორიის სავაჭრო ტერმინთა ასახსნელად. ეს ტერმინები ცნობილია, როგორც "INCOTERMS 1936". მოგვიანებით, 1953, 1967, 1976, 1980 წლებში გამოიცა შესწორებული და დამატებული. დასასრულს 1990 წ.-ს კანონები მიმდინარე საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტების შეუთანხმდა.

ახალი "INCOTERMS"-ის მიზანი

3. ძირითადი მიზანი 1990 წ.-ს ახალი ცვლილებების შეტანისა იყო მონაცემთა ელექტრონული ურთიერთგაცვლის (EDI) გამოყენების ზრდა. ახალ 1990 წ.-ის რედაქციაში ეს შესაძლებლობა გათვალისწინებულია. მხარეებმა სხვადასხვა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ (კომერციული ფაქტურები, საბაჟო დოკუმენტები, ტვირთის აღვიდზე მიტანის დოკუმენტები, სატრანსპორტო დოკუმენტები...). განსაკუთრებული პრობლემები წამოიჭრება, როდესაც გამყიდველმა უნდა წარმოადგინოს ნეგოციირებადი სატრანსპორტო დოკუმენტი, განსაკუთრებით კონოსამენტი, რომლებიც ხშირად გამოიყენებიან საქონლის

გზაშივე გაყიდვის მიზნით. ამ შემთხვევაში EDI შეტყობინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რათა დამტკიცდეს, რომ მყიდველს აქვს ის იურიდიული უფლებები, რომლებიც მას კონოსამენტის მიღების შემთხვევაში ექნებოდა.

ტრანსპორტირების ახალი ტექნიკური საშუალებანი

4. ცვლილებანი ტრანსპორტირების ტექნიკაში (მაგ. ტვირთის გაერთიანება კონტეინერებში, მულტიმოდალური ტრანსპორტი, როდ-ონ როდ-ოფ საგზაო ტრანსპორტი, საგზაო ვაგონების დადგმა ე.წ. "მოკლე ზღვიურ" ტრანსპორტზე და ა.შ.), აგრეთვე განაპირობებენ ცვლილებებს ტერმინებში. 1990 წ.-ის ინკოტერში "თავისუფალი გადაზიდვი ...დასახელებული ადგილი" (FCA) მისადაგებულია ყველა სახის ტრანსპორტთან განურჩევლად სახეობისა, თუ სახეობათა კომბინაციისა. შედეგად ყველა ის ტერმინი, რომლებიც წინა რედაქციაში რაიმე გარკვეულ სატრანსპორტო საშუალებასთან იყო დაკავშირებული (FOR/FOT და FOB აეროპორტი) გაუქმდა.

ინკოტერის წარმოადგენის ახალი მათელი

5. სამუშაო ჯგუფის მუშაობასთან ერთად წარმოიშვა წინადალებები ტერმინების ახალი გზით წარმოჩენისა, მათი წაკითხვისა და გაგების გაადვილების მიზნით. ტერმინები ოთხ საბაზო კატეგორიაში დაჯგუფდა. პირველი კატეგორია იწყება ტერმინით, როდესაც გამყიდველი უშუალოდ თავის შენობაში გადასცემს საქონელს მყიდველს (E ტერმინები - EXW). ამას მოსდევს ტერმინები, როდესაც გამყიდველმა საქონელი უნდა მიუტანოს მყიდველის მიერ დანიშნულ გადაზიდვს (F ტერმინები, FCA, FAS, FOB), შემდგომ C ტერმინები, როდესაც გამყიდველმა უნდა დადოს გარიგება სატრანსპორტო საშუალებაზე, მაგრამ არ უნდა აიღოს თავის თავზე საქონლის დაკარგვისა თუ დაზიანების რისკი და დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოვიდნენ ტვირთის გემზე დატვირთვისა და გაგზავნის შემდეგ (CFR, CIF, CPT და CIP). დასასრულს D ტერმინები, სადაც გამყიდველი თავის თავზე იღებს ყოველგვარ საფრთხესა თუ ხარჯს საქონლის დანიშნულების

ადგილზე ჩატანამდე (DAF, DES, DEQ, DDU და DDP). ახალი კლასიფიკაციით შეიქმნა ღიაგრამა:

ინკოტერს 1990

<p>Xგუფი "E" გაგზავნა</p>	<p>EXW ექს სამუშაო</p>	
<p>Xგუფი "F" ძირითადი ტრანსპორტი- რების გადაუხდედად</p>	<p>FCA FAS FOB</p>	<p>თავისუფალი გადამტანი თავისუფლად გემის ქიშის გასწვრივ თავისუფლად გემის ქიშზე</p>
<p>Xგუფი "C" ძირითადი ტრანსპორტი- რების გადახდით</p>	<p>CFR CIF CPT CIP</p>	<p>ღირებულება და ფრახტი ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი -მდე გადახდილი ტრანსპორტი -მდე გადახდილი ტრანსპორტირება და დაზღვევა</p>
<p>Xგუფი "D" ჩატანა</p>	<p>DAF DES DEQ DDU DDP</p>	<p>ჩატანა საზღვრამდე ჩატანა ექს გემი ჩატანა ექს სანაპირო ჩატანა საბაჟოს გადაუხდედად ჩატანა საბაჟოს გადახდით</p>

ყოველ ტერმინთან მიმართებაში ყველა მონაწილე მხარეთა მოსალოდნელი მოვალეობა დაჯგუფებულ იქნა ათ სათაურს ქვეშ. ყოველი სათაური გამყიდველის მხარეზე სარკულად ასახავდა მყიდველის პოზიციას იმავე საკითხთან მიმართებაში. მაგალითად, თუკი a.3 პუნქტზე დაყრდნობით გამყიდველს უვალდება სატრანსპორტო გარიგების დადება და შესაბამისი ხარჯების გაღება, b.3-ში შესაბამისი სათაურის, "სატრანსპორტო გარიგების", ქვეშ ვიპოვნით სიტყვებს, "არანაირი ვადლებულება". ნათელია, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მყიდველს, თუკი მისი ინტერესები მოითხოვენ ამას, არა აქვს უფლება დადოს ამგვარი გარიგებები საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანისათვის, თუკი საქმის საჭიროება მოითხოვს ამას, მაგრამ ვადლებულება მყიდველის წინაშე ამის შესრულებისა მას არა აქვს. ამგვარად ტერმინები ნათლად განმარტავენ, თუ როგორ განაწილდება მონაწილე მხარეთა შორის შესაბამისი მოვალეობანი, გადასახადები, ოფიციალურ ფორმალბათა შესრულებანი და მათი ხარჯები. აღსანიშნავია, რომ გამყიდველს შეიძლება სრულიადაც არ აინტერესებდეს თუ როგორ მოექცევა საქონელს მყიდველი მას შემდეგ რაც ჩაიბარებს

მას. ხოლო ზოგიერთ, მაგალითად "D" ტურმინთა შემთხვევაში, მყიდველს შეიძლება ის ხარჯებიც არ აინტერესებდეს, რომელთა გაღებაც გამყიდველს შეიძლება ტვირთის დანიშნულების აღვიდამდე ჩატანამდე მოუხდეს.

**პორტანის თუ ვაჭრობის
სასაზღვაოს ტანისაზღვაოაზი**

6. სრული სიზუსტით მხარეთა მოვალეობების დადგენა შეუძლებელია, რადგანაც ტურმინები გამოიყენება სხვადასხვა სახის სავაჭრო გარიგებებში და სხვადასხვა რეგიონებში. ზოგჯერ საჭიროა მივიმართოთ აღვიდობრივ ტრადიციებს, ან მხარეთა მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბებულ სავაჭრო პრაქტიკას (გაეროს 1980 წ.-ს კონვენცია საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაზე, პუნქტი მეორე). მონაწილე მხარეებმა კონტრაქტის შედგენის პერიოდში უნდა იქონიონ ინფორმაცია ვაჭრობაში ამგვარი ტრადიციების არსებობის შესახებ. რაიმე მოსალოდნელი გაურკვეველობის შემთხვევაში მხარეებმა იურიდიული წესით უნდა გაარკვიონ საკითხები გარიგების საგანგებო პუნქტში. საგანგებო გარიგებებში ამგვარი საგანგებო განმარტებები ენაცვლებიან და აესებენ ინკოტერმს, რომლებიც სხვადასხვა ინტერპრეტაციაში შეიძლება წარმოჩინდეს.

მყიდველის აპრობანი

7. ზოგჯერ კონტრაქტის შედგენის პერიოდში შეუძლებელია განისაზღვროს საქონლის ტრანსპორტირებისათვის გადაცემის ან საბოლოო დანიშნულების პუნქტი და აღვიდი. შეიძლება წინასწარ დასახელებულ იქნას მხოლოდ რაიმე რეგიონი ან უფრო ვრცელი აღვიდი, მაგალითად საზღვაო პორტი, ხოლო მყიდველს ქონდეს უფლება მოგვიანებით დააზუსტოს პუნქტი. თუ დაზუსტება მყიდველის მოვალეობა იყო, მაშინ მისმა შეუსრულებლობამ შეიძლება დაავადლებულს მყიდველი თავის თავზე აიღოს ამით გამოწვეული დამატებითი ხარჯები და რისკი, ხოლო გამყიდველს კი უფლება აქვს შეარჩიოს მისი მიზნებისათვის მაქსიმალურად შესაფერისი პუნქტი.

8. ჩვეულებრივ საბაჟოს ფორმადობებს ასრულებს ის მონაწილე მხარე, ან უკიდურეს შემთხვევაში ის პიროვნება, რომელიც ცხოვრობს ამავე ქვეყანაში. ასე მაგალითად ექსპორტიორმა უნდა მოამზადოს ყველაფერი საქონლის ექსპორტისათვის, ხოლო იმპორტიორმა – იმპორტისათვის. ზოგჯერ (EXW, FAS ტერმინები) შეიძლება მყიდველმა აიღოს თავის თავზე საქონლის ექსპორტისათვის მომზადება გამყიდველის ქვეყანაში, ზოგჯერ კი (DEQ და DDP ტერმინები) გამყიდველმა – საქონლის იმპორტისათვის მომზადება მყიდველ.ის ქვეყანაში. ამ შემთხვევაში გამყიდველი და მყიდველი იზიარებენ შესაბამის რისკს ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვისათვის. თუ საბაჟო ფორმადობებს ასრულებს ქვეყანაში არამცხოვრები პირი, მხარეები უნდა დარწმუნდნენ, რომ ისინი მისაღებია ხელისუფლებისათვის. გაქნსაკუთრებით რთულდება მდგომარეობა, როდესაც გამყიდველმა საქონელი უნდა მიიტანოს მყიდველის ქვეყანაში ისეთ პუნქტში, რომლის მიღწევა შეუძლებელია საქონლის იმპორტისათვის მოუზადებლად და როდესაც ეს შესაძლებლობა მოსპობილია მყიდველის მიერ მოვადეობათა შეუსრულებლობის გამო (მომღევნოდ იხილეთ DDU).

შეიძლება მყიდველმა ისურვოს საქონლის მიღება გამყიდველის საწყობში EXW პირობით, ან გემის ქიმის გასწვრივ FAS პირობით, მაგრამ ამავე დროს ისურვოს, რომ საქონელი ექსპორტისათვის გამყიდველმა მოამზადოს. ამ შემთხვევაში შესაბამის სავაჭრო ტერმინს უნდა მიემატოს "მომზადებულია ექსპორტისათვის". საპირისპიროდ, შეიძლება გამყიდველმა იკისროს საქონლის ჩატანა DEQ და DDP პირობებში, მაგრამ თავიდან მოიხსნას იმპორტირებისათვის გასაღები ხარჯებისა და გადასახადების ვადლებულება. ამ შემთხვევაში DEQ ტერმინს შეიძლება მიემატოს "საბაჟოს გადაუხდედალ" განსაზღვრება. განსაკუთრებული ხარჯები და გადასახადები, რომელთა გადახდაც გამყიდველს არ სურს შეიძლება საგანგებოდ გამოიყოს და აღინიშნება DEQ და DDP "VAT unpaid".

მრავალ ქვეყანაში უცხო კომპანიებს უჭირთ საიმპორტო დიკენზიისა და საგადასახადო (მაგ. ფასმომატებაზე გადასახადის) დგომების მიღება. DDU ტერმინს შეუძლია გადაჭრას ეს პრობლემა და გაანთავისუფლოს გამყიდველი საქონლის იმპორტისათვის მომზადების მოვადეობისაგან.

ზოგჯერ, როდესაც გამყიდველმა საქონელი მყიდველის საწყობამდე უნდა მიიტანოს, გამყიდველმა შეიძლება ისურვოს ტრადიციულ ფორმა-დობათ შესრულება გადასახადების გალების გარეშე. ამ შემთხვევაში DDU ტერმინს შეიძლება დაემატოს სიტყვები, რომლებიც ასახავენ შესაბამის ცვლილებებს მაგ.: "DDU, cleared". ანალოგიურად დამატებანი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა "D" ტერმინთა შემთხვევაში, მაგ: "DDP VAT unpaid", "DEQ, duty unpaid".

შეჯამება

9. მონაწილე მხარეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ იქნება საქონელი შეფუთული დანიშნულების ადგილამდე მისი უსაფრთხო ჩატანის მიზნით. გამყიდველის მოვალეობა, "შეფუთოს საქონელი", შეიძლება ძალზე ფართო ჩარჩოებში შეიცვალოს ტრანსპორტირების სახეობისა და ხანგრძლივობის მიხედვით, ამიტომ გამყიდველმა ისე უნდა შეფუთოს საქონელი, როგორც ამას ტრანსპორტი მოითხოვს, იმ პირობით, რომ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა პირობები გამყიდველს კონტრაქტის დადებამდე ეცნობება. (გაეროს 1980 წ.-ის კონვენცია საქონდით საერთაშორისო ვაჭრობაზე, პუნქტები 35.1 35.2.b, სადაც საქონელი მისი შეფუთვის ჩათვლით "უნდა შეეფუ-რებოდეს ყველა იმ მიზანს, რომელიც წერილობით, ან თავისთავად, ცნობილი იყო გამყიდველისათვის კონტრაქტის დადების დროისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გარემოებები უჩვენებენ, რომ მყიდველი არ ეყრდნობოდა, ან არ სჭირდებოდა დაყრდნობოდა გამყიდველის პროფესიონალიზმს და გადაწყვეტილებებს").

საქონლის შემოწმება

10. ხშირად მყიდველს სთავაზობენ საქონლის შემოწმებას გამყი-დველის მიერ მათი ტრანსპორტირებისათვის გადაცემამდე ე.წ. წინა-ჩასატვირთი შემოწმება. თუ კონტრაქტში სხვაგვარად არაა განსაზღვრული, მყიდველმა თავად უნდა გადაიხადოს მისი ინტერესებისათვის მოწყობილი ამ შემოწმების ხარჯები. თუკი შემოწმება ტარდება გამყიდველის ქვეყანაში მოქმედი საექსპორტო

კანონის შესასრულებლად, გამყიდველი ვადლებულია თავად დაეხმოს მისი ხარჯები.

თავისუფალი გადამტანი... დასასაყადო აქტივი (FCA)

11. FCA ტერმინი გამოიყენება ყოველთვის, როდესაც გამყიდველი ვადლებულია მყიდველის მიერ დასახელებულ გადამტანს გადასცეს საქონელი. ეს ტერმინი გამოიყენება საზღვაო ტრანსპორტირებისთვისაც, თუ საქონელი არ გადაეცემა გადამტანს ჩვეულებრივი გზით გემის რკინიგზის გავლით. აღსანიშნავია, რომ თუ გამყიდველმა ტვირთი ტერმინადს უნდა ჩააბაროს გემის ჩამოსვლაზე, FOB-ტერმინი არ გამოიყენება, რადგანაც გამყიდველი თავის თავზე ვერ აიღებს რისკსა და ხარჯს მას შემდეგ, რაც აღარ შეუძლია აკონტროლოს საქონელი, ან გასცეს ინსტრუქციები მათ დასაცავად.

საერთოდ "F" ტერმინთა შემთხვევაში გამყიდველმა გადამტანს საქონელი უნდა გადასცეს მყიდველის ინსტრუქციებისამებრ მას შემდეგ, რაც მყიდველი დასახელებს გადამტანს და დაღებს სატრანსპორტო კონტრაქტს. არ არის აუცილებელი ტერმინში ზუსტად მითითდეს, თუ როგორ უნდა გადასცეს გამყიდველმა საქონელი გადამტანს. მიუხედავად ამისა, იმისათვის რათა შესაძლებელი იყოს გამოვიყენოთ FCA როგორც ტერმინი, რომლის მოგვიანებით დაზუსტება შეიძლება, განმარტბანი მოცემულნი არიან ტრანსპორტის ცალკეული სახეობებისათვის ყველა ტრადიციულ საშუალებათა გათვალისწინებით.

ასევე შეიძლება ზედმეტი იყოს გადამტანის ლეჯინციის შემოტანა თუკი გამყიდველს მყიდველმა უნდა აცნობოს, თუ ვის უნდა გადასცეს მან საქონელი ტრანსპორტირებისათვის. მიუხედავად ამისა, რაღვანაც გადამტანის ვინაობას დიდი მნიშვნელობა აქვს კომერსანტისათვის, FCA ტერმინის პრეაბზულა შეიცავს "გადამტანის" ვინაობის განსაზღვრებას. აღსანიშნავია რომ ტერმინი "გადამტანი" გულისხმობს არა მხოლოდ ორგანიზაციას, რომელიც უშუალოდ ანბორცივლებს ტრანსპორტირებას, არამედ იმ ორგანიზაციასაც, რომელიც მხოლოდ იღებს ვადლებულებას ტრანსპორტირებისა, ან უზრუნველყოფს მას შესრულებას იმ პირობით, რომ ეს ორგანიზაცია თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას როგორც "გადამტანი" ტრანსპორტირებისა. ტერმინი

"გადამტანი" გულისხმობს როგორც ტრანსპორტირების განხორციელებას, ასევე სატრანსპორტო კონტრაქტის დადებას. რადგანაც ფრახტ ფორვარდერის განსაზღვრება იცვლება სხვადასხვა ქვეყნისა და სატრანსპორტო ინდუსტრიაში გაბატონებული პრაქტიკის მიხედვით, პრეამბულა შეიცავს შეხსენებას, რომ გამყიდველმა მაშინაც კი უნდა გადასცეს ტვირთი ფრახტ ფორვარდერს, როდესაც ეს უკანასკნელი არ იზიარებს "გადამტანის" პასუხისმგებლობას და ამგვარად ვარდება გადამტანის ლეფინიციიდან.

"C" ტერმინები (CFR, CIF, CPT და CIP)

12. "C" ტერმინების შემთხვევაში გამყიდველმა თავად უნდა დადოს გარიგება ტრანსპორტირებაზე ჩვეულებრივი პირობებით, საკუთარი ხარჯებით. ამიტომ "C" ტერმინში აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული პუნქტი, რომელმდეც ტრანსპორტირების ხარჯები უნდა იკისროს გამყიდველმა. CIF და CIP ტერმინთა შემთხვევაში გამყიდველმა დამატებითად უნდა უზრუნველყოს დაზღვევა და მისი ხარჯები.

რადგანაც დასახლებული პუნქტი დანიშნულების ქვეყანაშია, "C" ტერმინებს ხშირად განიხილავენ როგორც ჩატანის კონტრაქტებს. სადაც გამყიდველი არ არის დაზღვეული არანაირი რისკისა თუ ხარჯებისაგან, სანამ საქონელი ნამდვილად არ მიაღწევს დანიშნულების პუნქტს. აღსანიშნავია რომ "C" ტერმინები იმავე ბუნებისა არიან რაც "F" ტერმინები, რადგან გამყიდველი კონტრაქტს ჩატვირთვის ან გაგზავნის ქვეყანაშივე ასრულებს, ისინიც ჩატვირთვის კონტრაქტთა კატეგორიას განეკუთვნებიან. გამყიდველი იხდის ჩვეულებრივი მარშრუტითა და ჩვეულებრივი საშუალებებით, ჩვეულებრივი ტრანსპორტირების ხარჯებს საქონლის დანიშნულების ადგილამდე მიტანამდე, ხოლო რისკს საქონლის დაკარგვისა თუ დაზიანებისათვის და დამატებით ხარჯებს, რომელთა საჭიროებაც საქონლის ტრანსპორტირებისათვის გადაცემის შემდეგ აღმოჩნდა. კისრულობს მყიდველი. ამგვარად "C" ტერმინები ყველა სხვა ტერმინთაგან განსხვავებით შეიცავენ ორ მნიშვნელოვან მომენტს: ერთი ფასების მხრივ, ხოლო მეორე რისკის მხრივ. ამიტომ ღირს სიფრთხილდა საჭირო "C" ტერმინებისათვის იმ პირობათა დამატებისას, რომლებიც უემოსხუნე-

ბუნდ რისკის მომენტის შემდგომ დროს განეკუთვნებიან. "C" ტერმინის ძალზე არსებითი მომენტია გამყიდველის ყოველგვარი რისკისა და ხარჯებისაგან განთავისუფლება მის მიერ დაკისრებული მოვალეობის აღსრულების შემდეგ, რაც გამოიხატება მის მიერ სატრანსპორტო კონტრაქტის დადებით, ტვირთის გადამტანისათვის გადაცემით და CIF და CIP შემთხვევებში დაზღვევის უზრუნველყოფით.

შესაძლებელია მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ანგარიშსწორება მოხდეს აკრედიტივის საშუალებით, ბანკში ჩატვირთვის დოკუმენტის წარდგენით. ამისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ გავრცელებული მეთოდი ანგარიშსწორებისა, როდესაც გამყიდველი მას შემდეგაც იზიარებს რისკსა და პასუხისმგებლობას, რაც მიიღებს საფასურს აკრედიტივის საშუალებით, ანუ საქონლის გემზე ჩატვირთვისა და გაგზავნის შემდეგ. გამყიდველმა უნდა გაიღოს ფრახტი გადამტანის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, ტრანსპორტრების საფასური გადახდილი იქნა ჩატვირთვამდე, თუ გადაიხდება დანიშნულების პუნქტში. გამონაკლისია ის ხარჯები, რომლებიც ჩატვირთვის შემდეგ აღმოჩენილი ფაქტების შედეგად წარმოიშვნენ.

ჩვეულებრივ იღება რამდენიმე სატრანსპორტო კონტრაქტი ტვირთის შუადღურ პუნქტებში მიტანით იმ ანგარიშით, რომ საბოლოოდ ისინი დანიშნულების ადგილას მოხვდნენ. გამყიდველი ვადლებულია გაიღოს ამით გამოწვეული ყველა ხარჯები, საქონლის ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორეზე გადატანის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, თუკი გადამტანი სარგებლობს საზღვაო გადაზიდვებით მინიჭებული უფლებით, ან რაიმე მსგავსი კანონით, რათა თავიდან აიცილოს გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობანი, (ყინული, ჭარბი ტვირთი, შრომითი არუდობანი, სამთავრობო ბრძანებები, სომარნი ან მსგავსი მოქმედებანი და ა.შ.), მაშინ დამატებითი ხარჯების გაღება ეკისრება მყიდველს.

13. მხარეები ხშირად წინასწარ განსაზღვრავენ, უნდა ჩართოს თუ არა გამყიდველმა სატრანსპორტო ხარჯებში გადმოტვირთვის ხარჯები. როდესაც საქონელი ტრანსპორტდება რეგულარული საზღვაო ხაზებით, გადმოტვირთვის ხარჯები ჩვეულებრივ ფრახტში შედის და კონტრაქტი ხშირად ადგენს, რომ ეს სწორედ ასეა, ან უკიდურეს

შემთხვევაში აღგენს, რომ ტრანსპორტირება ე.წ. "ხაზური" ტერმინებით უნდა განხორციელდეს. სხვა შემთხვევაში CFR და CIF ტერმინებს უნდა დაემატოს შენიშვნა - "landed". და მაინც, "C" ტერმინთა შემთხვევაში არ არის რეკომენდირებული გამოვიყენოთ შემოკლებანი თუ მათი მნიშვნელობანი ყველა მხარისათვის არ არის გასაგები და მისაღები, ან თუ ისინი კანონისა და სავაჭრო ტრადიციების მიერ არაა დაშვებული. ყოველ შემთხვევაში "C" ტერმინთა ბუნების შეუსვდელიად გამოიღვედა არ უნდა აიღოს და არც შეუძლია აიღოს რაიმე ვადლებულება ტვირთის დანიშნულების პუნქტში ჩატანასთან დაკავშირებით, რადგანაც ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყოველგვარი პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს. ამიტომაც ყველა ვადლებულება უნდა განკუთვნილობდეს ჩატვირთვის ან გაგზავნის დროს, მაგ.: "ჩატვირთვა (გაგზავნა) არა უგვიანეს...". შეთანხმება მაგ.: "CFR ქაშბურგი, არა უგვიანეს..." ნამდვილად მცდარია და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებელი. მხარეებმა შეიძლება ჩათვალონ რომ ნაგუდისხმევი იყო საქონლის ქაშბურგში ჩატანა განსაზღვრულ დღეს, ამ შემთხვევაში ეს იქნება არა ჩატვირთვის კონტრაქტი, არამედ ჩატანისა, შეიძლება აგრეთვე, რომ გამოიღვედს იმ ანგარიშით უნდა ჩატვირთა საქონელი გემზე, რომ ქაშბურგში ისინი განსაზღვრულ დღეს ჩამოსულიყვნენ და თუ ეს ასე არ მოხდა ტრანსპორტირება გადაღებულ იქნა გაუთვადისწინებელ მოვლენათა გამო.

14. ვაჭრობაში საქონელი ხშირად მისი ზღვაში ყოფნის პერიოდშივე იყიდება. ამ შემთხვევაში სავაჭრო ტერმინს ემატება შენიშვნა: "afloat". რისკის გამოიღველიდან მყიდველზე გადასვლის შემდეგ CFR და CIF ტერმინებში შეიძლება გაჩნდეს გაგების სირთულენი. ერთ შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს CFR და CIF ტერმინების ჩვეულებრივი გაგებით, როდესაც მყიდველს სავაჭრო გარიგების ძადაში შესვლამდე აღმოჩენილი რისკის მიღება ევალება. მეორეს მხრივ შეიძლება რისკი დაკავშირებული იყოს იმ დროსთან, როდესაც სავაჭრო კონტრაქტი უკვე დაღებულ იყო. რადგანაც ტრანსპორტირების განმავლობაში ტვირთის მდგომარეობის დადგენა შეუძლებელია, ზემოხსენებული შესაძლებლობა ხშირად გამოიყენება. გაეროს 1980 წ.-ის კონვენცია საქონლით საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით სტატია 68 აღგენს რომ, "თუ გარემოებანი ამაზე

მიუთითებენ, რისკი ეკისრება მყიდველს, მას შემდეგ რაც საქონელი გადაეცემა გადამტანს. რომელმაც გამოსცა ტრანსპორტირების გარიგების დოკუმენტები. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც გამყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ტვირთის დაკარგვის შესახებ და ეს ინფორმაცია შეგნებულად ღამადა მყიდველისაგან". ამგვარად "ფლავში, (afloat)" ღამატების, CFR და CIF ტერმინთა მნიშვნელობა დამოკიდებულია მათთან დაკავშირებულ კანონებზე. მხარეებს ეძლევათ რეკომენდაცია დააზუსტონ ეს კანონები და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები. საეჭვო შემთხვევაში კონტრაქტი უნდა შეიცავდეს ამ საქმის ნათელ განმარტებებს.

"ინციბარში" და საბრანსაორობო პარიკაზა

19. უნდა აღინიშნოს რომ ინკოტერში აღწერს მხოლოდ სავაჭრო გარიგებებში გამოყენებულ ტერმინებს და არ არის დაკავშირებული სატრანსპორტო გარიგებებში გამოყენებულ (ზოგჯერ იგივე ან მსგავს) ტერმინებთან, განსაკუთრებით სხვადასხვა ჩარტერული რეისების ტერმინებთან. ჩვეულებრივ ჩარტერული ტერმინები უფრო ვიწროდ სპეციფიცირებულია, მათში დასახელებულია ჩატვირთვა გადმოტვირთვის ფასები და ვადები (ე.წ. "დემურაჟის" პირობა). ამიტომაც სასურველია მხარეებმა კონტრაქტშივე შეძლებისდაგვარად დააზუსტონ თუ რა ვადები აქვს გამყიდველს მყიდველის მიერ უზრუნველყოფილ გემზე საქონლის ჩასატვირთად, ან თუ რა ვადებში უნდა ჩაიბაროს მყიდველმა საქონელი გადამტანისაგან დანიშნულების პუნქტში და თუ რამდენად ეკისრება გამყიდველს რისკი და ხარჯები "F" ტერმინის შემთხვევაში ჩატვირთვისათვის, ხოლო "C" ტერმინის შემთხვევაში გადმოტვირთვისათვის. მაგ.: შესაძლებელია გამყიდველმა გადამტანთან დადოს საფრახტო კონტრაქტი ტერმინით - "free out", რაც ნიშნავს რომ გამყიდველი თავისუფლდება გადმოტვირთვის ვადებულებისაგან. შესაძლებელია სავაჭრო კონტრაქტისა თუ პორტის ტრადიციებიდან გამომდინარე გამყიდველის მიერ დადებული კონტრაქტი გულისხმობდეს გადმოტვირთვის ოპერაციასაც.

**“გაბიანა ანთონი” FOB, CFR, და CIF
შეშვება**

16. სატრანსპორტო კონტრაქტი გულისხმობს ჩამტვირთავის ან გამგზავნის ვადლებულებას გადასცეს საქონელი გადამტანს. აღსანიშნავია რომ FOB, CFR, და CIF შემთხვევებში დაცულია საქონლის გემბანზე ატანის ტრადიცია. ტრადიციულად სავაჭრო კონტრაქტის მიერ განსაზღვრული მიტანის პუნქტი ემთხვეოდა საქონლის ტრანსპორტირებისათვის გადაცემის პუნქტს. თანამედროვე სატრანსპორტო ტექნიკამ წარმოიშვა სავაჭრო და სატრანსპორტო გარიგებათა “სინკრონიზაციის” სერიოზული პრობლემა. ახლა ჩვეულებრივ გამყიდველი გადამტანს საქონელს გადასცემს მანამ, სანამ ტვირთს გემბანზე აიტანენ, ზოგჯერ გემის ჩამოსვლამდე კი. ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია ისეთი “F” და “C” ტერმინთა გამოყენება, რომლებიც არ მოითხოვენ საქონლის ჩატვირთვას გემბანზე, მაგ.: FCA, CPT, CIP და არა FOB, CFR, და CIF ტერმინებისა.

“D” ტერმინები (DAF, DES, DEQ, DDU და DDP)

17. “D” ტერმინები განსხვავდებიან “C” ტერმინებისაგან, რადგან “D” ტერმინთა შემთხვევაში გამყიდველი ვადლებულია ჩაიტანოს საქონელი შეთანხმებულ ჩატანის ადგილზე. ამ პუნქტამდე ყოველგვარი რისკი და ხარჯი ეკისრება გამყიდველს. ამგვარად “D” ტერმინები წარმოადგენენ ჩატანის ტერმინებს, მაშინ როდესაც “C” ტერმინები - ჩატვირთვის ტერმინებს.

“D” ტერმინები იყოფა ორ კატეგორიად: DAF, DES და DDU შემთხვევებში გამყიდველი არ არის ვადლებული საქონელი იმპორტირებისათვის მომზადებულად ჩამოიტანოს, ხოლო DEQ და DDP შემთხვევაში ვადლებულია. DAF ხშირად გამოიყენება სარკინიგზო გადაზიდვებში, სადაც ჩვეულებრივ ადგენენ დოკუმენტს, რომელიც მთლიანად ფარავს სარკინიგზო გადაზიდვას საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე და უზრუნველყოფენ დაზღვევას იგივე პერიოდისათვის, ამიტომ DAF ტერმინი შეიცავს შესაბამის განმარტებას A.8 პარაგრაფში. აღსანიშნავია, რომ გამყიდველის მოვალეობა, დაეხმაროს მყიდველს ამგვარი სრული სატრანსპორტო დოკუმენტის შოვნაში მთლიანად

მყიდველის რისკითა და ხარჯით კეთდება. ანაღოგიურად, ყოველგვარი სადაზღვევო ხარჯები, დაკავშირებული იმის მომდევნო დროსთან, როდესაც გამყიდველმა უკვე მოიხადა ჩატანის მოვალეობა ტვირტის საზღვართან მიტანით, ეკისრება მყიდველს.

DDU ტერმინი ახად 1990 წ-ის ეურსიის "ინკოტერმს" დაემატა. ტერმინი აღწერს მნიშვნელოვან შემთხვევას, როდესაც გამყიდველი მზადაა ჩაიტანოს საქონელი დანიშნულების ქვეყანაში მათი იმპორტისათვის მომზადებისა და ბაჟის გაღების გარეშე. როდესაც საქონლის იმპორტისათვის მომზადება არ წარმოადგენს დიდ პრობლემას, (მაგ.: ეუროპის საერთო ბაზრის ქვეყნებს შიგნით), ტერმინი მისაღებია, მაგრამ იქ სადაც საქონლის იმპორტისათვის მომზადება სირთულეა და დიდ დროს მოითხოვს, გამყიდველისათვის შეიძლება სახიფათო იყოს საქონლის საბაჟო პუნქტს მიღმა მიწოდების ვადებულების აღება. თუმცა DDU ტერმინის პირობების თანახმად მყიდველს, რომელიც ვერ შეასრულებს საქონლის საიმპორტოდ მომზადების ვადებულებას, ეკისრება დამატებითი რისკიცა და ხარჯიც, გამყიდველს მაინც ურჩევენ არ გამოიყენონ DDU ტერმინი იქ, სადაც საქონლის იმპორტისათვის მომზადება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

კონოსამენტი და EDI არისალუკაბი

18. ტრადიციულად კონოსამენტი არის ერთადერთი მისაღები დოკუმენტი, რომელიც გამყიდველმა CFR და CIF ტერმინების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს. კონოსამენტს სამი შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს:

- აღასტურებს საქონლის გეშბანზე მიტანას,
- აღასტურებს სატრანსპორტო კონტრაქტის არსებობას,
- საქონელზე უფლების ტრანზიტულად გადაცემა დოკუმენტების სხვა მხარისათვის გადაცემით.

კონოსამენტისაგან განსხვავებული სხვა სატრანსპორტო დოკუმენტები ასრულებენ პირველ ორ ფუნქციას, მაგრამ ვერ გააკონტროლებენ საქონლის დანიშნულებისამებრ ჩატანას და ვერ მისცემენ მყიდველს

შესაძლებლობას თავის მხრივ ტრანზიტში გაყიდოს საქონელი ღოკუმენტების ახალი მყიდველისათვის უბრალო გადაცემის გზით. სხვა სატრანსპორტო ღოკუმენტები უშუალოდ ასახელებენ საქონლის მიმღებს დანიშნულების პუნქტში. კონსაშენტის ფლობის აუცილებლობა დანიშნულების პუნქტში საქონლის მისაღებად განსაკუთრებით ართულებს მის შენაცვლებას EDI შეტყობინებით.

ჩვეულებრივ, მიღებულია კონსაშენტის შედგენა რამდენიმე ეგზემპლარად. ამ შემთხვევაში მყიდველისათვის და მის მიერ ინსტრუქტირებული ბანკისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმაში დარწმუნებას, რომ გამყიდველმა მათ გადასცა ყველა ორიგინალი (ე.წ. "full-set"). ეს ასევე მოთხოვნილია ICC-ს კანონებში აკრედიტივებისათვის (ე.წ. უნიფიცირებული კანონები და პრაქტიკა, "UCP"; ICC გამოსცემა 400).

სატრანსპორტო ღოკუმენტი უნდა ადასტურებდეს არა მარტო გადამტანის მიერ საქონლის მიღებას, არამედ აგრეთვე, რამდენადაც ეს გადამტანის შესაძლებლობაშია, საქონლის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ყოვედგვარი, საქონლის არასრულფასოვნების დამადასტურებელი შენიშვნა "აჭუჭყიანებს" ღოკუმენტს და "UCP"-სათვის შეუთავსებელს ხდის მას (სტატია 18; იხილეთ აგრეთვე ICC გამოსცემა 473). მიუხედავად კონსაშენტის განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობისა, მოსალოდნელია, რომ მას ახლო მომავალში შეცვლის EDI შეტყობინება. 1990 წ.-ის ინკოტერმის გამოსცემაში ეს მოსალოდნელი ცვლილება გათვალისწინებულია.

აქანაგოყიიკააღი საბრანსოოობი ღოკუმენობაი კონსაშენტის სანაცვარე

18. უკანასკნელ წლებში ღოკუმენტაციის საკითხში მნიშვნელოვან გამარტივებანია მიღწეული. კონსაშენტს უნაცვლება არანეგოციირებადი ღოკუმენტი, მსგავსი იმისა, რომელიც გამოიყენება არასაზღვაო გადაზიდვების შემთხვევაში. ამ ღოკუმენტებს ეწოდება "საზღვაო კონსაშენტი", "სადინერო კონსაშენტი", "საფრაბტო საბუთი" და სხვანი. ისინი წარმატებით გამოიყენება, თუ მყიდველს არ სურს ტრანზიტში გაყიდოს საქონელი ღოკუმენტების ახალი მყიდველისათვის

გადაცემის გზით. იმისათვის რომ ეს შესაძლებელი გახდეს უნდ შენარჩუნებულ იქნას გამყიდველის ვალდებულება CFR და CI ტერმინების შემთხვევაში კონსამენტის მყიდველისათვის გადაცე მისა. თუ მონაწილე მხარეთათვის ცნობილია, რომ მყიდველი ა აპირებს საქონლის ტრანზიტში გაყიდვას, მათ შეიძლება საგანგებო. განთავისუფლონ გამყიდველი კონსამენტის გადაცემისაგან, ა გამოიყენონ CPT და CIP ტერმინები, სადაც კონსამენტის გადაცემა არ არის აუცილებელი.

ტრანსპორტირების საშუალება და შესაბამისი ინსტრუქციები 1990

ნებისმიერი (შერეული) სატრანსპორტო საშუალება	EXW FCA CPT CIP DAF DDU DDP	ექს სამუშაო თავისუფალი გადამტანი -მდე გადახდილი ტრანსპორტი -მდე გადახდილი ტრანსპორტირება და დაზღვევა ჩატანა საზღვრამდე ჩატანა საბაჟოს გადაუხდედალ ჩატანა საბაჟოს გადახდით
საჰაერო ტრანსპორტი	FCA	თავისუფალი გადამტანი
სარკინიგზო ტრანსპორტი	FCA	თავისუფალი გადამტანი
საზღვაო და შიდასახმელეთო საწყადოსნო გადაზიდვები	FAS FOB CFR CIF DES DEQ	თავისუფლად გემის ქიშის გასწვრივ თავისუფლად გემის ქიშზე ღირებულება და ფრანტი ღირებულება, დაზღვევა და ფრანტი ჩატანა ექს გემი ჩატანა ექს სანავირო

ბალანსის ინსტრუქციების უფლება

20. "C" ტერმინთა შემთხვევაში, საქონლის ღირებულები გადახდისას, მყიდველი უნდა დარწმუნდეს, რომ გამყიდველი თანხი მიღების შემდეგ ვერ გასცემს გადამტანს ახალ ინსტრუქციებს საქონელზე საკუთრების აღდგენის მიზნით. გარკვეული სატრანსპორტო სახეობების შემთხვევაში (საგზაო, საჰაერო, სარკინიგზო ტრანსპორტი) გამოყენებული ზოგიერთი სატრანსპორტო დოკუმენტ საშუალებას აძლევს მონაწილე მხარეებს აღუქვეთონ გამყიდველ

ამგვარ ახად ინსტრუქციათა გაცემა, მყიდველისათვის ამ ღოკუმენტის განსაკუთრებული ორიგინალის ან ასლის გადაცემის გზით. ამგვარი ღოკუმენტები შეიცავენ აღნიშვნას "no-disposal". საზღვაო გადაზიდვებისას კონსამენტის ნაცვლად გამოყენებულ ღოკუმენტებს ამგვარი გამოუქმებელი ძადა არა აქვთ. ახდა საერთაშორისო საზღვაო კომიტეტში სწარმოებს მუშაობა, რათა ზემოხსენებულ ღოკუმენტთა ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნას "საზღვაო ღოკუმენტების უნიფიცირებული წესების" გამოცემის მეშვეობით. ამ სამუშაოს შესრულებასა და მისი პრაქტიკაში დანერგვამდე კი მყიდველი უნდა მოერიდოს ამგვარ არანეგოციირებად ღოკუმენტთა საკანსუხოდ ანგარიშსწორებას, თუკი გამყიდველი მის სრულ ნდობას არ იმსახურებს.

**საქონელთან დაკავშირებული რისკისა და
ხარჯების გადასება**

21. საქონლის დაკარგვისა თუ დაზიანების რისკი, ისევე როგორც საქონელთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის მოვალეობა, გადაღის გამყიდველიდან მყიდველზე, მას შემდეგ, რაც, გამყიდველი საქონლის ჩატანის მოვალეობას აასრულებს. რადგანაც მყიდველს არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა უარყოს რისკისა და ხარჯების მიღება, ტერმინები აღგენენ, რომ ამგვარი გადაცემა რისკისა და ხარჯებისა შეიძლება მოხდეს საქონლის ჩატანამდე, თუ მყიდველი შეთანხმებისმებრ არ ღებულობს ჩატანიდ საქონელს ან ვერ იძლევა საჭირო ინსტრუქციებს (ჩატვირთვის დრო, მიტანის ადგილი), რაც აუცილებელია გამყიდველისათვის საქონლის ჩატანის მოვალეობის აღსრულების მიზნით. რისკისა ხარჯების ამგვარი წინასწარი გადაცემისათვის აუცილებელია იდენტიფიცირდეს საქონელი, როგორც მყიდველისათვის განკუთვნილი, ან როგორც ეს ტერმინშია განსაზღვრული, მისთვის ასიგნებული. ეს განსაზღვრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია EXW შემთხვევაში, რადგანაც სხვა შემთხვევაში საქონელი პირდაპირ იდენტიფიცირდება, როგორც მყიდველისათვის განკუთვნილი, როდესაც იღებენ ზომებს მათი ჩატვირთვისა თუ გაგზავნისათვის ("F" და "C" ტერმინთა შემთხვევაში), ან მათი ადგილზე მიტანისათვის ("D" ტერმინთა შემთხვევაში). ზოგჯერ საქონელი გამყიდველის მიერ იგზავნება, როგორც ერთიანი მასა, თითოეული მყიდველისათვის განკუთვნილი რაოდენობის განუსაზღვრელად. ამ შემთხვევაში რისკისა

და ხარჯის გადასვლა არ ხდება სანამ იგი ზემოხსენებული წესით არ იქნება მიკუთვნებული (იხილეთ აგრეთვე გაეროს 1980 წ.-ის საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის წესების შესახებ კონვენცია, სტატია 69.3).

ინკობაჰის მისანიება

22. თუ მონაწილე მხარეებს სურთ აქ მოყვანილ კანონთა გამოყენება, მათ უნდა აღნიშნონ, რომ მათი კონტრაქტი ემორჩილება ინკოტერმ 1990 - ს.

ICC არბიტრაჟი

თუკი მონაწილე მხარეებს აქვთ სურვილი კონტრაქტთან დაკავშირებით რაიმე კომფლიქტის შემთხვევაში მიმართონ ICC არბიტრაჟს, ისინი საგანგებოდ და აშკარად უნდა დაეთანხმონ ICC არბიტრაჟს თავიანთ კონტრაქტში, ან თუ საკონრაქტო დოკუმენტი არ არსებობს, თავიანთ კორესპონდენციაში, რომელიც წარმოადგენს მათ შეთანხმებას. კონტრაქტში ან შესაბამის გარიგებაში ინკოტერმის ერთი ან რამდენიმე ტერმინის მოხსენიება თავისთავად არ ნიშნავს, რომ მხარეებმა შეთანხმებისათვის ICC არბიტრაჟს უნდა მიმართონ. ICC-შიურ რეკომენდირებულია საარბიტრაჟო მუხდის შემდგომი ოფიციალური ფორმულირება:

“მოცემულ კონტრაქტთან დაკავშირებული ყოველგვარი კომფლიქტი უნდა გადაიჭრას კომერციის საერთაშორისო ვადატის მომჩივებელ და საარბიტრაჟო კანონთა მიხედვით, აღნიშნულ კანონთა თანახმად განსაზღვრული ერთი ან რამოდენიმე არბიტრის მიერ”.

EXW



EX WORKS

(...დასახელებული ადგილი)

"EX works" შემთხვევაში გამყიდველის მოვალეობა, ჩაიტანოს საქონელი, შესრულებულად ითვლება, თუ იგი უზრუნველყოფს საქონელს მის შენობაში (მაგ.: ქარხანაში, საწყობში და ა.შ.) მყიდველისათვის. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, გამყიდველი ვალდებული არ არის დატვირთოს საქონელი მყიდველის მიერ უზრუნველყოფილ ტრანსპორტზე, ან მოამზადოს ისინი ექსპორტისათვის. მყიდველს ეკისრება ყოველგვარი რისკი და ხარჯი საქონლის შენობიდან დანიშნულების ადგილამდე მიტანისათვის. ეს ტერმინი გამყიდველისათვის მოვალეობათა მინიმუმს შეიცავს. ტერმინი არ უნდა გამოიყენონ, თუ მყიდველს არ შეუძლია საქონლის პირდაპირ ან არაპირდაპირად ექსპორტისათვის მომზადება. ამ შემთხვევაში FCA ტერმინი უნდა გამოიყენონ.

A → გამყიდველი ვალდებულია

A 1 კონტრაქტის შესაბამისად საქონლის უზრუნველყოფა

სავაჭრო კონტრაქტის, ან მასში მოთხოვნილი შესაბამისობის სხვა დოკუმენტის თანახმად მოამზადეთ საქონელი და კომერციული ფაქტურა, ან მისი შესაბამისი ელექტრონული შეტყობინება.

A 2 დოკუმენტის, უფლებების და ფრანკების

მყიდველის მოთხოვნით, რისკითა და ხარჯით, აღმოუჩინეთ მას ყოველგვარი დახმარება საექსპორტო დოკუმენტისა, თუ ექსპორტისათვის აუცილებელი სხვა უფლებების მოპოვებაში.

A 3 სატრანსპორტო და სადაზღვევო კონტრაქტი

a) სატრანსპორტო კონტრაქტი: არანაირი ვადლებულება.

b) სადაზღვევო კონტრაქტი: არანაირი ვადლებულება.

A 4 მიწიღება

გადაეყით საქონელი მყიდველის განკარგულებაში დადგენილ ადგილას, დადგენილ თარიღსა თუ ვადებში, ან თუ არაფერია დადგენილი, ამ საქონლისათვის ჩვეულებრივ ადგილსა და დროს.

A 5 რისკის გადაცემა

დაემორჩილეთ B.5-ის დებულებებს, საქონლის A.4-ის თანახმად მყიდველისათვის გადაცემამდე იქისრეთ ყოველგვარი რისკი მათი დაკარგვისა თუ დაზიანებისათვის.

A 6 ღირებულება

დაემორჩილეთ B.6-ის დებულებებს, საქონლის მყიდველის განკარგულებაში გადაცემამდე გაიღეთ მათთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯები A.4 მიხედვით.

A 7 შეტყობინება მყიდველს

შეტყობინეთ მყიდველს თუ როდის და სად გადასცემთ საქონელს.

A 8 მიწიღების დადასტურება, სატრანსპორტო დოკუმენტი ან კვირვალური ელექტრონული შეტყობინება

არანაირი ვადლებულება.

A 9 გასინჯვა - შეფუთვა - ადნიშვნა

გაიღეთ იმ (ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის) გასინჯვის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია საქონლის მყიდველისათვის გადასაცემად.

თუ ვაჭრობის ამ განსაკუთრებული სახეობისათვის ტრადიციული არ არის კონტრაქტში აღწერილი საქონლის შეუფუთავი გაგზავნა, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყავით შეფუთვა, რომელიც აუცილებელია საქონლის ტრანსპორტირებისათვის, იმ პირობით, რომ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყოველგვარი გარემოებები (სატრანსპორტო საშუალება, დანიშნულების ადგილი) გამყიდველისათვის სავაჭრო კონტრაქტის დადებამდე იყო ცნობილი. შეფუთვა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.

A 10 სხვა ვადლებულებანი

მყიდველის მოთხოვნით, რისკითა და ხარჯით, აღმოუჩინეთ მას ყოველგვარი დახმარება გაგზავნის ან დანიშნულების ქვეყანაში გამოშვებული და/ან გადაცემული ნებისმიერი სატრანსპორტო ღოკუ-მენტისა თუ ექვივალენტური ელექტრონული შეტყობინების მოვნაში, რაც მყიდველს შეიძლება დასჭირდეს საქონლის ექსპორტირებისა თუ იმპორტირებისათვის, ან თუ ეს საჭიროა, მათი სხვა ქვეყანაში ტრანზიტისათვის.

მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყავით მყიდველი დაზღვევისათვის აუცილებელი ინფორმაციით.

[B] → მყიდველის ვადლებულებანი

B 1 უსის გადახდა

სავაჭრო კონტრაქტის თანახმად გადაიხადეთ საფასური.

B 2 დიკენზია, უფლებები და ფორმალობები

საკუთარი რისკითა და ხარჯით იმოვეთ საექსპორტო და საიმპორტო დიკენზია, თუ სხვა ოფიციალური უფლება და შეასრულეთ ყველა ტრადიციული ფორმალობა ტვირთის ექსპორტისა თუ იმპორტისათვის და თუ საჭიროა, მათი სხვა ქვეყანაში ტრანზიტისათვის.

მ 3 სატრანსპორტო კონტრაქტი

არანაირი ვადლებულება.

მ 4 მოწოდების ჩაბარება

საქონლის A.4-ის თანახმად მოწოდებისთანვე ჩაიბარეთ იგი.

მ 5 რისკის გაღაცემა

საქონლის A.4-ის თანახმად გადმოცემის შემდეგ იკისრეთ მთელი პასუხისმგებლობა მათი დაკარგვისა თუ დაზიანებისათვის.

თუ B.7-ის თანახმად არ გაგზავნით შეტყობინებას, იკისრეთ ყოველგვარი რისკი საქონლის დაკარგვისა თუ დაზიანებისათვის ჩატანისათვის დათქმული თარიღიდან ან ნებისმიერი დათქმული ვადის გასვლიდან, იმ პირობით, რომ საქონელი შეუფერებოდა კონტრაქტს. ეს აშკარად უნდა იქნას დადასტურებული, ან რაიმე სხვა გზით ილენტიფიცირებული, როგორც საკონტრაქტო საქონელი.

მ 6 ღირებულება

A.4-ის თანახმად საქონლის თქვენს განკარგულებაში გადმოსვლის შემდეგ გაიღეთ მათთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯები.

გაიღეთ გადმოცემული საქონლის თქვენს მიერ ჩაუბარებლობით, ან B.7-ის თანახმად შეტყობინების არ გაგზავნით გამომწვეული დამატებითი ხარჯები, იმ პირობით, რომ საქონელი შეუფერებოდა კონტრაქტს. ეს აშკარად უნდა იქნას გარკვეული, ან რაიმე სხვა გზით ილენტიფიცირებული, როგორც საკონტრაქტო საქონელი.

გადაიხადეთ ყველა ვადლებულებები, გადასახადები და სხვა ოფიციალური ხარჯები, აგრეთვე ტრადიციულ ფორმადობათა შესრულების ღირებულება, რაც აუცილებელია საქონლის ექსპორტირებისა და იმპორტირებისათვის, ხოლო თუ საჭიროა, მათი სხვა ქვეყანაში ტრანზიტისათვის.

აუნაზღაურეთ გამყიდველს მის მიერ A.2-ის თანახმად გაწეული დახმარების ხარჯები.

მ 7 შეტყობინება გამყიდველს

თუ თქვენ გევაძებათ განსაზღვროთ ღრმ დადგენიდ ვადებში და/ან ადგილი ჩატანის ჩაბარებისა, გაუგზავნეთ გამყიდველს შესაბამისი შეტყობინება.

მ 8 შოწოდების დადასტურება, სატრანსპორტო დოკუმენტი ან ექვივალენტური ელექტრონული შეტყობინება

უზრუნველყავით გამყიდველი ჩატანის ჩაბარების მოწმობით.

მ 9 საქონლის გასინჯვა

თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, გადაიხადეთ წინაჩასატვირთი გასინჯვის ხარჯები (მათ შორის ექსპორტიორი ქვეყნის მთავრობის მიერ სავადღებულოდ დანიშნულისა).

მ 10 სხვა ვადებულება

გაიღეთ A.10-ში მოხსენიებულ დოკუმენტთა თუ ექვივალენტურ ელექტრონულ შეტყობინებათა მოვლის ხარჯები, აუნაზღაურეთ გამყიდველს მის მიერ ამაში გაწეული დახმარება.

**FREE CARRIER**

(...დასახელებული ადგილი)

"Free Carrier" შემთხვევაში გამყიდველის მოვალეობა, ჩაიტანოს საქონელი, შესრულებულად ითვლება, თუ იგი გადასცემს ექსპორტისათვის მომზადებულ საქონელს მყიდველის მიერ დასახელებულ გადამტანს მყიდველის მიერ დასახელებულ ადგილსა თუ პუნქტში. თუ ზუსტი პუნქტი მითითებული არ არის, გამყიდველს შეუძლია აირჩიოს პუნქტი იმ ადგილსა თუ რეგიონში, სადაც გადამტანს შეუძლია მისი მიღება. თუ კომერციული პრაქტიკის მიხედვით საჭიროა გამყიდველის დახმარება გადამტანთან გარიგების დადებაში, (მაგ.: სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტი) გამყიდველს შეუძლია დალოს ეს გარიგება მყიდველის რისკითა და ხარჯით.

ტურმინი შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი სახის ტრანსპორტისათვის, მრავალსახეობრივის ჩათვლით.

"გაღამტანი" ნიშნავს ნებისმიერ პირს, ვინც ვადებულებას იღებს განახორციელოს, ან უზრუნველყოს განხორციელება ტრანსპორტირებისა სარკინიგზო, საგზაო, საჰაერო, საზღვაო, შიდასახმელეთო საწყადლოსნო და კომბინირებული სატრანსპორტო საშუალებებით. თუ მყიდველი ინსტრუქციას აძლევს გამყიდველს გადასცეს ტვირთი პიროვნებას, რომელიც არ არის "გაღამტანი", მაგ.: ფრაზტის ფორვარდერს, გამყიდველის მოვალეობა, ჩაიტანოს საქონელი, შესრულებულად ითვლება, როდესაც ტვირთი იმ პიროვნებას გადაეცემა.

"სატრანსპორტო ტურმინალი" ნიშნავს სარკინიგზო ტურმინალს, საფრაზტო სადგურს, კონტეინერების ტურმინალს ან სადგურს, მრავალ-მიზნობრივ სატვირთო ტურმინალს, ან მსგავს მიმღებ პუნქტს.

"კონტეინერი" ნიშნავს ნებისმიერ აღჭურვილობას, გამოყენებულს ტვირთის გურთიანებისათვის, მაგ.: ყოველგვარი ტიპის კონტეინერებს და/ან ბინებს, მიუხედავად იმისა ISO აქცეპტირებულია თუ არა, ტრაიდერებს, რო-რო აღჭურვილობას,

A → გამყიდველი ვადლებულია

A 1 კონტრაქტის შესაბამისად საქონლის უზრუნველყოფა

სავაჭრო კონტრაქტის ან მასში მოთხოვნილი შესაბამისობის სხვა დოკუმენტის თანახმად მოამზადოს საქონელი და კომერციული ფაქტურა, ან მისი შესაბამისი ელექტრონული შეტყობინება.

A 2 დიცენზია, უფლებები და ფორმადობები

საკუთარი რისკითა და ხარჯით უზრუნველყოს ყოველგვარი საექსპორტო დიცენზია, თუ სხვა ოფიციალური უფლება, და შეასრულოს ექსპორტირებისათვის აუცილებელი ყველა ტრადიციული ფორმადობა.

A 3 სატრანსპორტო და სადაზღვევო კონტრაქტი

ა) სატრანსპორტო კონტრაქტი: არანაირი ვადლებულება. მიუხედავად ამისა, თუ მყიდველი მოითხოვს ამას, ან თუ ეს სავაჭრო კონტრაქტის მიღებულა და თუ მყიდველი შესაბამის ვადლებულ საპირისპირო ინსტრუქციებს არ იძლევა, გამყიდველს შეუძლია დადოს სატრანსპორტო გარიგება ჩვეულებრივი პირობებით, მყიდველის ხარჯითა და რისკით. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას კონტრაქტის დადებაზე და თუ ის ასე აკეთებს, შესაბამისად უნდა გააფრთხილოს მყიდველი.

ბ) სადაზღვევო კონტრაქტი: არანაირი ვადლებულება.

A 4 მონოქტობა

გადასცეს საქონელი მყიდველის მიერ დასახელებული, ან გამყიდველის მიერ A.3.ა)-ს თანახმად არჩეული გადამტანის, ან სხვა პიროვნების (მაგ.: ფრაზტის ფორვარდერის) განკარგულებაში დადგენილ ადგილზე.

თუ პუნქტში (მაგ.: სატრანსპორტო ტერმინალსა ან სხვა მიმღებ პუნქტში) მოწოდების თარიღსა თუ ვალდებში, შეთანხმებულ, ან პუნქტისათვის ტრადიციული მანერით. თუ პუნქტი საგანგებოდ არ არის დასახელებული და რამდენიმე პუნქტია დასაშვები, გამყიდველს შეუძლია მისი მიზნებისათვის მაქსიმალურად შესაფერისი პუნქტი აირჩიოს. თუ მყიდველმა ვერ გასცა... საჭირო ინსტრუქციები, გამყიდველს შეუძლია ისე გადასცეს საქონელი გადამტანს, როგორც ამას გადამტანის სატრანსპორტო საშუალება და/ან საქონლის რაოდენობა მოითხოვს.

გადამტანისათვის მოწოდება დასრულებულია თუ:

I) სარკინიგზო ტრანსპორტირების შემთხვევაში, როდესაც საქონელი წარმოადგენს სარკინიგზო ტვირთს (ან სარკინიგზო კონტეინერის ტვირთს), გამყიდველმა უნდა დატვირთოს ვაგონი ან კონტეინერი შესაბამისი წესით. გადაცემა დასრულებულია, როდესაც დატვირთული ვაგონი ან კონტეინერი წაიღება რკინიგზის, ან სხვა, მისი სახელით მოქმედი პიროვნების მიერ.

როდესაც საქონელი არ წარმოადგენს სავაგონე ან კონტეინერულ ტვირთს, მოწოდება დასრულებულია, როდესაც გამყიდველი გადასცემს საქონელს რკინიგზის მიმღებ პუნქტს, ან ჩატვირთავს მათ რკინიგზის მიერ უზრუნველყოფილ ტრანსპორტზე.

II) საგზაო ტრანსპორტის შემთხვევაში, როდესაც დატვირთვა ხდება გამყიდველის შენობაში, გადაცემა დასრულებულია, როდესაც ტვირთი მყიდველის მიერ უზრუნველყოფილ ტრანსპორტზე დაიტვირთება.

თუ დატვირთვა გადამტანის შენობაში ხდება, გადაცემა დასრულებულად ითვლება, როდესაც ტვირთს გადასცემენ საგზაო გადამტანს, ან სხვა მისი სახელით მოქმედ პიროვნებას.

III) შიდასახმედეთო საწყადონო გადაზიდვების შემთხვევაში, თუ ჩატვირთვა ხდება გამყიდველის შენობაში, მოწოდება დამთავრებულია, როდესაც საქონელი ჩაიტვირთება მყიდველის მიერ უზრუნველყოფილ გემზე.

თუ საქონელი ჩაიტვირთება გადამტანის შენობაში, მოწოდება დასრულებულია, როდესაც საქონელს გადასცემენ შიდასახმედეთო საწყადლოსნო გადამტანს, ან სხვა, მისი სახელით მოქმედ პიროვნებას.

iv) საზღვაო ტრანსპორტირების შემთხვევაში, თუ საქონელი წარმოადგენს სრულ კონტეინერულ ტვირთს (FCL), მოწოდება დასრულებულია, როდესაც დატვირთულ კონტეინერს წაიღებს საზღვაო გადამტანი. თუ საქონელი მიაქვთ "გადამტანის" სახელით მოქმედ ტერმინალის ოპერატორთან, საქონელი ჩაითვლება "გადაცემულად", როდესაც იგი შევა ტერმინალის შენობაში.

როდესაც საქონელი კონტეინერულ ტვირთზე ნაკლებია (LCL), ან სუდაც არ არის კონტეინერიზებული, გამყიდველმა უნდა წაიღოს ისინი სატრანსპორტო ტერმინალზე. მოწოდება დასრულებულია, როდესაც ტვირთს გადასცემენ საზღვაო გადამტანს, ან სხვა, მისი სახელით მოქმედ პიროვნებას.

v) საჰაერო ტრანსპორტირების შემთხვევაში მოწოდება დასრულებულია, როდესაც საქონელი გადაეცემა საჰაერო გადამტანს, ან სხვა, მისი სახელით მოქმედ პიროვნებას.

vi) დაუსახელებელი ტრანსპორტის შემთხვევაში მოწოდება დასრულებულია, როდესაც საქონელი გადაეცემა გადამტანს, ან სხვა, მისი სახელით მოქმედ პიროვნებას.

vii) სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის შემთხვევაში მოწოდება დასრულებულად ითვლება, თუ საქონელი, შემთხვევის შესაბამისად, გადაეცემა ისე, როგორც ეს I-VI პუნქტებშია განსაზღვრული.

A 5 რისკის გადაცემა

დაემორჩილოს B.5-ის დებულებებს, საქონლის A.4-ის თანახმად ჩაბარებამდე იკისროს ყოველგვარი რისკი მათი დაკარგვისა თუ დაზიანებისათვის.

A 6 ღირებულება

დაემორჩილოს B.6-ის დებულებებს.

საქონლის A.4-ის თანახმად ჩაბარებამდე გაიღოს მათთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯები.

დაფაროს ექსპორტირებასთან დაკავშირებული ვადლებულებები, გადასახადები, ტრადიციულ ფორმადობებთან ღირებულება და სხვა ოფიციალური ხარჯები.

A 7 შეტყობინება მყიდველს

გაუგზავნოს მყიდველს საჭირო შეტყობინება ტვირთის გადამტანის განკარგულებაში გადაცემის თაობაზე. თუ გადამტანს არ ძალუძს შეთანხმებისამებრ ტვირთის მიღება, გამყიდველმა ეს მყიდველს უნდა შეატყობინოს.

A 8 მოწოდების დადასტურება, სატრანსპორტო დოკუმენტი ან ექვივალენტური ელექტრონული შეტყობინება

თუ ეს მიღებულია, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მყიდველი საქონლის A.4-ის თანახმად მოწოდების დამადასტურებელი დოკუმენტით.

თუ წინა აბზაცში მოხსენიებული დოკუმენტი სატრანსპორტო დოკუმენტი არ არის, მყიდველის მოთხოვნით, რისკითა და ხარჯით, აღმოუჩინოს მას ყოველგვარი დახმარება სატრანსპორტო გარიგების სატრანსპორტო დოკუმენტის (მაგ: კონსამენტის, არანეგოციირებადი საზღვაო-საგზაო ქვითრის, შიდასაზღვეთო საწყადონო დოკუმენტის, საჰაერო საგზაო ქვითრის, სარკინიგზო ფაქტურის, საგზაო ფაქტურის, მრავალსახეობრივი სატრანსპორტო დოკუმენტის) შოვნაში.

თუ მონაწილე მხარეები კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებს იყენებენ, წინა აბზაცში მოხსენიებული დოკუმენტი შეიძლება მონაცემთა ელექტრონული ურთიერთგაცვლის EDI ექვივალენტური შეტყობინებით შეიცვალოს.

A 9 **გასინჯვა - შეფუთვა - აღნიშვნა**

გაიღეთ იმ (ხარისხის, ზომების, წონის, რაოდენობის) გასინჯვის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია საქონლის გადამტანისათვის გადასაცემად.

თუ ვაჭრობის ამ განსაკუთრებული სახეობისათვის ტრადიციული არ არის კონტრაქტში აღწერილი საქონლის შეუფუთავი გაგზავნა, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყავით შეფუთვა, რომელიც აუცილებელია საქონლის ტრანსპორტირებისათვის, იმ პირობით, რომ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყოველგვარი გარემოებები (სატრანსპორტო საშუალება, დანიშნულების ადგილი) გამყიდველისათვის სავაჭრო კონტრაქტის დადებამდე იყო ცნობილი. შეფუთვა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.

A 10 **სხვა ვადლებულებანი**

მყიდველის მოთხოვნით, რისკითა და ხარჯით, აღმოუჩინეთ მას ყოველგვარი დახმარება A.8-ში მოხსენიებულთაგან განსხვავებული, გაგზავნის ან დანიშნულების ქვეყანაში გამომშვებელი და/ან გადაცემული ნებისმიერი სატრანსპორტო დოკუმენტისა თუ ექვი-ვალენტური ელექტრონული შეტყობინების შოვნაში, რაც მყიდველს შეიძლება დასჭირდეს საქონლის იმპორტირებისათვის, ან თუ ეს საჭიროა, მათი სხვა ქვეყანაში ტრანზიტისათვის.

მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყავით მყიდველი დაზღვევისათვის საჭირო ინფორმაციით.

[B] → **მყიდველის ვადლებულებანი**

B 1 **ფასის გადახდა**

